ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center

IBSU-სთან დაკავშირებით გადაწყვეტილება „ჩაღლარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებების უფლებების დარღვევის ტენდენციის გაგრძელებაა

გვსურს გამოვეხმაუროთ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებას შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში სტუნდეტების მიღების უფლების ერთი წლის ვადით შეზღუდვასთან დაკავშირებით, რომელიც ჩაღლარის ქსელის საგანმანათლებლო დაწესებულებების უფლებების დარღვევის და შევიწროების ტენდეციას აჩვენებს და საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სავარაუდოდ მეზობელი სახელმწიფოს მიმართ პოლიტიკური ლოიალობის გამო ადამიანის უფლებების დარღვევისა და იგნორირების კიდევ ერთი შემთხვევაა.

როგორც ცნობილია, 2018 წლის 24-27 აპრილს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში (IBSU) ავტორიზაციის ფარგლებში განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. უნივერსიტეტის თვითშეფასების ფორმებისა და დოკუმენტაციის ანალიზისის შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა ავტორიზაციის სტანდარტები დადებითად შეაფასა და 20 აგვიტოს გამართულ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება ავტორიზაციის მინიჭების შესახებ, თუმცა უნივერსიტეტს სტუდენტების მიღების უფლება 1 წლის ვადით შეუზღუდა. საბჭოს განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მიზეზი გახდა ფინანსური პრობლემები, კერძოდ 2013 წელს დაკისრებული საგადასახადო ჯარიმა და დაყადაღებული ქონება, რომელიც უნივერსიტეტს საგადასახადო ვალდებულებების თავის არიდების გამო დაეკისრა. უნივერსიტეტის განმარტებით, ავტორიზაციის საბჭომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ უნივერსიტეტისთვის საგადასახადო ჯარიმის დაკისრების სამართლიანობის შესახებ ჯერ კიდევ არ დასრულებულა სასამართლო დავა.

მართალია, საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილება უნივერსიტეტს ჯერ არ ჩაბარებია და გადაწყვეტილების ოფიციალური დასაბუთება და სამართლებრივი საფუძვლები უცნობია, თუმცა უწყების მიერ გაკეთებული ოფიციალური შეფასება აღნიშნულ გადაწყვეტილების ობიექტურობასთან დაკავშირებით ლეგიტიმურ კითხვებს აჩენს.

კანონმდებლობის თანახმად, საბჭო უფლებამოსილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის სტუდენტთა მიღების უფლების არანაკლებ 1 წლის

ვადით შეზღუდვის თაობაზე, იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთ სტანდარტთან მიმართებით შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“[1].

მოცემულ შემთხვევაში, კი საბჭომ სავარაუდოდ მატერიალურ, საინფორმაციო და ფინანსურ რესურსებთან დაკავშირებული სტანდარტის დარღვევად განიხილა სახელმწიფოსთან არსებული ფინანსური დავა, რომელიც უნივერსიტეტის განმარტებით, ვერანაირ მნიშვნელოვან ზეგავლენას ვერ მოახდენდა უნივერსიტეტზე, განსაკუთრებით კი მის სასწავლო პროცესზე.

კერძოდ კი, უნივერსიტეტის განმარტების თანახმად, დაკისრებული ჯარიმა დაახლოებით 700 000 ლარს შეადგენს, რისი კანონიერების თაობაზეც ამჟამად სასამართლოში მიმდინარეობს დავა, მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი თუ უნივერსიტეტს დაეკისრება მითითებული ჯარიმის გადახდა აღნიშნული ეჭქვეშ ვერ დააყენებს უნივერსიტეტის საქმიანობის სტაბილურობას, რამდენადაც უნივერსიტეტის ქონება რამდენიმე მილონს შეადგენს, ამას გარდა, უნივერსიტეტის მიერ საბჭოში წარდგენილი იქნა ინფორმაცია დეპოზიტის სახით უნივერსიტეტის ანგარიშზე იმ თანხის არსებობის თაობაზე, რომელიც ჯარიმის დაკისრების შემთხვევაში უზრუნველყოფდა მის დაფარვას[2]. ზემოაღნიშნული გარემოებები კი დამატებით კითხვებს აჩენს საბჭოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობასთან დაკავშირებით.

ამ კუთხით ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ იმის გამო, რომ საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ამ დრომდე არ მიუღია, სტუდენტების მობილობის პერიოდადად კი მცირე - 2018 წლის 22 აგვისტოდან 27 აგვისტომდე დრო გამოცხადდა, უნივერსიტეტს სასამართლოს გზით, სასარჩელო უზრუნველყოფის მექანიზმით, მიღებული გადაწყვეტილების შეჩერების რეალური შესაძლებლობა ერთმევა.

ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, ერთი წლის ვადით სტუნდეტთა მიღების უფლების შეზღუდვით, ჩნდება რისკი იმისა, რომ უნივერსიტეტი სერიოზული ფინანსური საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს, რაც მომავალში შეიძლება გახდეს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შემაფერხებელი გარემოება. ნებისმიერი შეზღუდვა, რომლითაც სახელმწიფო განახორციელებს უმაღლესი საგანმათლებლო დაწესებულების კონტროლს უნდა განისაზღვროს და დაიგეგმოს ისე, რომ მიღებული გადაწყვეტილება პროპორციული[3] იყოს და ის არსებითად უნივერსიტეტების ავტონომიის დაცვისა და სტუდენტების განათლების უფლების ჯეროვანი რეალიზების პრინციპებს დაეფუძნოს.

აღნიშნულ საქმესთან კავშირში გასათვალისწინებელია ბოლო პერიოდში ჩაღლარის ქსელის საგანმანათლებლო დაწესებულებების (შაჰინის სკოლა ბათუმში, დემირელის სახელობის სკოლა თბილისში) დახურვისა და საქმიანობისთვის ხელშეშლის ტენდენცია[4], რაც განსაკუთრებით მუსტაფა ემრე ჩაბუქის ექსტრადიციის საქმის[5] კონტექსტში, სწორედ თურქეთის მთავრობის მიმართ გაუმართლებელი ლოიალობის გამო საქართველოს ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებების უგულებელყოფისა და დარღვევის ეჭვებს ქმნის. ამ კუთხით ნიშანდობლივია, საქართველოში

---

[1] საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 01/10/2010 N99/ნ ბრძანების 25[1] მუხლის 1-ლი პუნქტი; ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1031755

[2] იხ. http://netgazeti.ge/news/299496/

[3] იხ. http://www.enqa.eu/wp-content/uploads/2015/11/ESG_2015.pdf

[4] იხ. https://www.transparency.ge/ge/blog/demirelis-skolebi-da-chabukis-sakme-movlenebis-kronologia

[5] იხ. https://emc.org.ge/ka/products/mustafa-chabukis-sakmis-samartlebrivi-shefaseba

თურქეთის ელჩის მიერ გაკეთებული განცხადება, რომელშიც ის უკმაყოფილებას გამოხატავს საქართველოში ჩაღლარის ქსელის უნივერსიტეტის ფუნქციონირების ფაქტთან დაკავშირებით.[6]

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელმომწერი ორგანიზაციები მოვუწოდებთ ავტორიზაციის საბჭოს განუხრელად დაიცვას ადამიანის უფლებათა სტანდარტები და ობიექტურობა IBSU ავტორიზაციის პროცესში. ამასთან მნიშვნელოვანია საბჭომ გადახედოს საკუთარ გადაწყვეტილებას და მიიღოს ყველა ზომა მიმდინარე წელს IBSU-ში სტუდენტების ჩარიცხვის პროცესის დროული უზრუნველყოფისთვის. ამასთან იმედს გამოვთქვამთ, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ აღნიშნული საქმის განხილვა სამართლიანი და ობიექტური იქნება და IBSU -ს საკუთარი უფლებების აღდგენის ეფექტიანი შესაძლებლობა მიეცემა.

1. ადამიანის უფლებათა მონიტორინგისა და სწავლების ცენტრი (EMC)
2. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)
3. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო
4. ღია საზოგადოების ფონდი
5. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC)
6. ადამიანის უფლებათა ცენტრი
7. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
8. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)

[6] იხ. http://netgazeti.ge/news/299351/